სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/01

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესისა და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, სტუ-ის წესდების მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი (დანართი №1);
2. დამტკიცდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა (დანართები – №2, №3);
3. დამტკიცდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა (დანართები – №4, №5);
4. დამტკიცდეს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა (დანართები – №6, №7);
5. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 14 აპრილის №433 დადგენილებით

დამტკიცებული ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა (დანართი №1) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის ფორმა (დანართი №3);

6. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 28 მარტის №1125 დადგენილებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების განხილვისა და დასამტკიცებლად წარდგენის წესი (დანართი №4);
7. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესისა“ და საგანმანათლებლო პროგრამის ფორმების ვებგვერდზე განთავსება;
8. დადგენილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე;
9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**